ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა

№ 9

საბავშვო ეაკა ცხრაწლიანი კომუნისტისა და
ფ. ი. ფეხნის სახელობის ბორ. პიონერთა
ორგანიზაციის რაიკომსომოლის საბჭოს ორგანი

„ბავშვი, ტრფე ქვეყნის,
ოცნებე, ალერი შთაბერ,
ლ ეჭეს ბინოვანო, ხელოვნია
ხარბობელი ეკიბანო!“

სექტემბერი
1961

572
1961/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარი

ნ. ჩაჩავა

ნახატები რ. ფუცქირიძისა

არჩილი მთელ ზაფხულს სოფელში იყო. კარგად დაისვენა, მოიკეთა და სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა თბილისში.

ხუმრობა ხომ არ არის, ახლა იგი მესამე კლასის მოსწავლეა. პირველ სექტემბრამდე სულ რაღაც ხუთი დღეა დარჩენილი და რამდენი საქმე აქვს გასაკეთებელი! ახალი წიგნები უნდა იყიდოს, სათითაოდ გადაფურცლოს და ნახოს, რას ისწავლიან, როგორი სურათებია დახატული.

სკოლაშიც უნდა მივიდეს; ერთი სული აქვს, ვიდრე თავის კლასს —მესამე კლასს ნახავს.

უცებ რაღაც მოაგონდა, თავის მაგიდასთან მივიდა, წიგნები გადმოალაგა, შემდეგ რამდენიმე წიგნი გვერდზე გადასდო და თვალიერება დაუწყო.

რა კარგად არის შენახული ეს წიგნები, თითქოს მაღაზიიდან ახლა გამოუტანიათ, თითქოს არავის უხმარიაო.

არჩილი ამ წიგნებით მთელი წელი სწავლობდა. ახლა კი აღარ სჭირდება. იგი უკვე დიდია, სხვა წიგნებით უნდა ისწავლოს, ამ წიგნებს კი თედოს მისცემს, მეზობლის პატარა ბიჭს. სოფელში წასვლისას ხომ დაჰპირდა,— როცა ჩამოვალ, ჩემს წიგნებს შენ მოგცემო. ისიც უთხრა: ჩემს მერხზე დაჯექი, იგი ყველას სჯობია, მასწავლებლის პირდაპირ დგას და ყველაფერს კარგად გაიგონებო.

ასე შეთანხმდნენ სოფელში წასვლისას.

ახლა უნდა მისცეს თედოს წიგნები. მაგრამ ეს რა არის, „დედა ენა“ ვინ დახია? ყდა ვინ მოაძრო? მერე როგორ უყლიდა არჩილი ამ წიგნს, როგორ უყვარდა იგი.

ამას ავთანდილის მეტი ვინ იზამდა? მისი პატარა ძმა ხომ უფრო გვიან წავიდა სოფელში, მარტო იყო და მაშინ უშოვნია დრო!

არჩილი როცა შინ არის, თავის მაგიდას ახლოსაც არ აკარებს პატარა ავთანდილს. მაგრამ სოფელში წავიდა და მის ძმიკოს მაშინ აურევია აქაურობა.

როგორ მოიქცეს ახლა? ასეთ წიგნს ხომ ვერ მისცემს თედოს! რას იტყვიან, როგორი მოწაფეა, წიგნის მოვლა არა სცოდნიაო. მერე და დახეული წიგნის ჩუქება რა საკადრისია!

უცებ მოაგონდა, რომ მისი ამხანაგის მამა მკინძავია. ისინი გვერდით ცხოვრობენ, მეზობლად. არჩილი სთხოვს, რომ წიგნი აუკინძოს, ახალს დაამსგავსოს. ძია შაქრო ძა-

ლიან კარგი ოსტატია, ყველაზე საუკეთესო წიგნებს ის აკეთებს, უარს როგორ ეტყვის. არჩილი და ძია შაქროს შვილი ნიკა ხომ მეგობრები არიან. ძია შაქროს ხომ უყვარს არჩილი.

არჩილმა წიგნი გაზეთში გაახვია და გაქუსლა. კვირა დღე იყო და მეზობლები შინ დახვდნენ. როგორ გაუხარდათ არჩილის ნახვა. შემოეხვივნენ; „როგორ გაზრდილხარ, როგორ მოკეთებულხარო“. ძია შაქრომ კი თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ადრე ჩამოსულხარ, შენი ამხანაგი ნიკა კი ალბათ ახლა ხის კენწეროზეა და ხილს შეექცევა. ისიც ზეგ ჩამოვა.

არჩილმა, როგორც იყო, გაბედა და ძია შაქროს სთხოვა:

— ავთანდილს ჩემი წიგნი დაუხევია, ეს წიგნი თედოსთვის უნდა მიმეცა, ასე ხომ ვერ მივცემ. მასწავლეთ, როგორ გავაკეთო და მე თვითონ ავკინძავ.

ძია შაქროს გაეღიმა, წიგნი ჩამოართვა და თქვა:

ა ი, ი ა

ა. ონელი

ჯერ სკოლაში ვინ გამიშვებს,
პატარა ვარ, ერთი ბეწვა...
როგორ ვნატრობ, როგორ მინდა,
ოქტომბრელი მერქვას მეცა!

მეც მინდა, რომ ჩანთით ხელში
ვიჩქაროდე ადრე დილით,
მასწავლებლით ვამაყობდე,
სულ მზად მქონდეს გაკეთილი.

გუშინ მამამ მომიტანა
„დედა ენა“—ცოდნის კარი,
ბევრი ვფურცლე, მაგრამ მაინც
ვერ ამოვხსენ ერთი ბწკარიც.

მაშინ დედა მომეშველა,
მკითხა:—ეს რა ყვავილია?
— ია!—და მეც წავიკითხე:
— ი ა, ა ი... აი, ია!

— კარგი საქმე გიფიქრია, არჩილ. უნდა დავეხმაროთ. ამ წიგნს დღესვე ავკინძავ, ისე გავაკეთებ, რომ ახალს აჯობოს. შენ კი ჩემს ხელობას მერე გასწავლი.

საღამოს არჩილს „დედა ენა“ ხელში ეჭირა. ფურცლავდა და გაკვირვებული იყო: თითქო ხელიც არ ეხლოს ავთანდილს ამ წიგნისათვის. რა ძვირფასი ხელობა სცოდნია, რა სანაქებო ოსტატია ძია შაქრო! შემდეგ მეორე კლასის წიგნები ერთად დააწყო, თედოს დაუძახა და უთხრა:

— აჰა, თედო, წაიღე. გადაათვალიერე, თუ რამე ვერ გაიგო, ყველაფერს აგიხსნი და დაგეხმარები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსიპედი

ს. ორბელიშვილი

ნახატები მ. როინიშვილისა

პატარა ნიკო გაცივდა და ავადმყოფობის დროს სამბორბლიანი ველოსიპედი უყიდეს. ბიჭს დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა, მაგრამ ჯერ სიცხე არ გამონელებოდა და დედამ ეზოში ველოსიპედით გასვლის ნება არ მისცა. იქ კი მის ტოლ-ამხანაგებს იმგვარივე სამბორბლიანი ველოსიპედებით მარცა გაემართათ და ერთი ყრიამული ჰქონდათ.

— რად ტირის ჩემი ნიკო?—იკითხა სახლში შემოსულმა ბიძია ავთანდილმა.

— ოჰ, რა კარგ დროს მოხვედი,—მიმართა მას ნიკოს დედამ,—უნდა მომეხმარო, რომ ეს ჯიუტი როგორმე ღოგინში გავაჩერო. სიცხე ოცდათვრამეტი და ორი ხაზი აქვს, ახირებულა: გინდა თუ არა, ეზოში სათამაშოდ გამიშვიო. აბა, ამის გაშვება შეიძლება? არა და ტირილით თვალები დაისივა.

— ჰოო! მეც არა ვთქვი, რა გასჭირებია-მეთქი, ეგ საქმე თვითონ მე და ნიკოს მოგვანდე. ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრები ვართ, არა? დაჰკა ხელი!—და ბიძია ავთანდილმა თვალცრემლიან ბავშვს თავისი ხელი გაუწოდა.



ბიჭი ჯერ უნდობლად უყურებდა ბიძას და დაეჭვებული იყო, მართლა მეგობრად მთვლის თუ არაო. მაგრამ დიდხანს არ დაayყოვნა და თავისი მარჯვენა ხელით წკაპანი გაადინა ავთანდილის ხელზე. მერე სლუკუნით უამბო მიზეზი: თურმე ეზოში ჩასვლა იმიტომ უნდოდა, რომ ახალი ველოსიპედით ზაღიკოსა და მაღხაზს შესჯიბრებოდა.

— ყური მიგდე, ნიკო!— მიმართა ბიძია ავთანდილმა.—ახლა შენი ველოსიპედი, თუ იცი, საიდან არის მოსული? მოსკოვიდან თბილისამდე ორი ათას კილომეტრზე მეტი გზა გამოუვლია. ცხადია, დაღლილი იქნება და დასვენება უნდა. თუ შენც თანახმა იქნები, მოდი, ჩვენ ასე მოვიქცეთ: ერთ კვირას დავასვენოთ. მანამ კი ზაღიკომ და მაღხაზმა დაე არბენინონ თავიანთი ველოსიპედები. ისინი დაეღლებათ, დაუსუსტდებათ და მერე შენი დასვენებული ველოსიპედით ორივეს გაასწრებ. კარგი? ახლა კი დაღლილი ველოსიპედით რომ შეეჯიბრო, შერცხვები ბიჭი და რად გინდა?

ნიკოს ბიძის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა. გული დაიმშვიდა და თვალებგაბრწყინებულმა წამოიძახა:

— მანამ ჩემი ველოსიპედი დაისვენებდეს, მეც კარგად გავხდები, არა, ძია ავთანდილ?

— აბა რა! ზოგმა ისიც კი არ იცის, რომ ველოსიპედს დასვენება უნდა, გაიყვანს შეჯიბრში და დაღლილმა ველოსიპედმა რა უნდა შესძლოს? ყველას უკან ჩამორჩება და პატრონს შეარცხვენს.

ბიძის სიტყვებით დამშვიდებულმა ნიკომ ოფლი მოიწმინა, ორ დღეში გამოჯანმრთელდა და დედამაც ეზოში გასვლის უფლება მისცა. მაგრამ რაკი ავთანდილს ჰქონდა ნათქვამი, რომ ველოსიპედმა ერთ კვირას მაინც უნდა დაისვენოსო, იგი ეზოში არ გაუტანია. ბავშვებთან კი დაიტრაბახა:

— მოიცადეთ, ჩემმა ველოსიპედმა კარგად დაისვენოს, თუ ყველას არ გაგასწროთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

Თ. ჟვირჩაკაძე

დედას ვუშველოთ

გია, დედას ვუშველოთ,
აგერ მოდის ბაზრიდან.
კიბეებზე ამდენ ხიდს
მარტო როგორ აზიდავს!

სექტემბრის ზარი

ვ. ბორგანელი

ინათებდა თუ არა,
ჩაურბენდა ნაკადულს,
მოსძებნიდა ბაჭიას,
ბაღ-ბოსტანში დაკარგულს.

დღეს სკოლისკენ პირველად
მიდის, მიუხარია,
რომ ეძახის ხმატკბილად,
ეს სექტემბრის ზარია.

„დედა ენას“ სკოლაში
დღეს პირველად გადაშლის,
ჯერ სწავლა და მერე კი
მეგობრებთან თამაში.

ჯუჯული

რ. მიშველაძე

ჩემი ბატის ჯუჯული
სასეირნოდ გავუშვი,
გაისწორა ბუმბული,
გადაეშვა აუზში.

გაცურა და გავიდა,
განა ბევრი იწვალა,
მხოლოდ ორი დღის არის,
ცურვა როდის ისწავლა?!

ლობიო

პაწაწინა მარინე
ქადებს აცხობს, არ ხუმრობს.
ავადმყოფი დობილი
უნდა მოინახულოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებია და ბავშვები

ე. ზედგინიძე

ნახატი ე. აბბოკაძისა

სექტემბერში, როდესაც ვენახებში ყურძენი კარგად დამწიფდა, მედიკო სამი წლის გახდა. იმ დილას მამამ დედოფლა და ქარვასავით ყვითელი ყურძენი მოუტანა. ისეთი ტკბილი ყურძენი იყო, რომ მედიკოს ტუჩები და თითები ეწებებოდა, ნიკაპი და ლოყებიც ყურძნის წვენით მოეთხუპნა.

დედამ რომ შვილს შეხედა, გაუკვირდა, ასეთი გათხუპნილი არასოდეს ენახა.

— მედიკო უნდა ვაბანაოთ!—უთხრა დედამ ბებიას.— თორემ დღეს მისი დღეობაა, დაუბანელი რომ დაგვრჩეს, რას იტყვიან მისი პატარა მეგობრები.

დედის ნათქვამს მედიკომ ყური მოჰკრა და უსიამოვნოდ აიმრიზა. არ უყვარდა ბანაობა, მეტადრე საპნის წასმა, რადგან საპნის ქაფი ხშირად თვალებშიც ხვდებოდა და ისე ეწვოდა, რომ ცხარე ცრემლით ატირებდა.

— არა, დედიკო, ბანაობა არ მინდა!—დედის წინ მოწყენილი გაჩერდა და ცრემლმორეული თვალებით სახეში მიაჩერდა.

— აბა, სარკეში ჩაიხედე, ნახე, რას ჰგავხარ!—უთხრა დედამ და ისევ ბებიას მიუბრუნდა: წყალი გავაცხელოთო.

მედიკო დედასთან რომ ვერას გახდა, ახლა ბებიას სთხოვა, არ მაბანაოთო. არც ბებიამ გაუგონა; მედიკო გაიბუტა. მაგიდის ქვეშ შეძვრა და იფიქრა, აქედან არ გამოვალ და როგორ მაბანავებენო.

მოიტანეს ტაშტი, მაგრამ მედიკო გაიძახოდა:

— არ ვიბანავებ, არ ვიბანავებ!..

— რას იმალები, რადგან არ გინდა, ნუ იბანავებ!—უთხრა განგებ დედამ,—შენს მაგივრად ბებია იბანავებს, შენ კი იარე აგრე ჭუჭყიანი!..

მედიკოს გაეხარდა და მაგიდის ქვეშიდან უფრო უარესად მოთხუპნილი გამოვიდა.

— მომეხმარე, გენაცვალე, ბებია ვაბანაოთ!—ტკბილად უთხრა მედიკოს დედამ.— აბა, მოიტანე ტოლჩა და წყლის დასასხმელად მოემზადე.

იგი მაშინვე სიხარულით გაიქცა ტოლჩის მოსატანად. მოარბენინა და კუდში არხეინად დასდევდა დედას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაუკენჭა

 Მ. ᲙᲐᲮᲘᲫᲔ

აქეთ ნუში, იქით ნუში,
ნუნუ ცრუ და ბაიყუში,
ყველას წვრილად ჩაუკენჭა,
რაც კი ვუთხარ ჩუმად ყურში
გავებუტე, მაგრამ არც ეს
არ ჩააგდო აინუნში.

ნახატი Ზ. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲘᲡᲐ

მედიკომ ტაშტის ახლოს სკამზე დააწყო საპონი და წითელი ფაფუკი ღრუბელი. მერე სავარცხელიც მოიტანა. რომ ბებიას დაევარცხნა თავისი ვერცხლივით თეთრი და ბზინვარე თმები.

აი, წყალიც გაცხელდა. დედამ ცხელი წყლით სავსე ქვაბი გადმოიღო და ცივი წყლით გაანელა.

— ბებია, აბა, მოემზადე, იბანავე,—უთხრა მედიკომ ბებიას.

— ბებია ამ პატარა აბაზანაში ვერ მოთავსდება, თორემ ბანაობაზე უარს როგორ იტყოდა. მოდი, შვილო, შენ იბანავე.

დედამ მედიკოს ისე უცებ გახადა ტანსაცმელი, რომ ბავშვმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. ჩასვეს მედიკო წყალში და რაღას იზამდა?

— მარტო ფეხები, ჰო, დედიკო?

მედიკოს თბილი წყალი ესიამოვნა, ახლა უკვე თვითონაც ისხამდა წყალს თავისი ხელით.

— საპონს არ წამისვამ, არა, დედიკო?—ეხვეწებოდა მედიკო.

— უსაპნოდ ბანაობა როგორ შეიძლება. ნუ გეშინია, ბებია ისე წაგისვამს საპონს, რომ თვალში არ მოგახვედრებს!—დაუყვავა დედამ.

— თვალები არ გაახილო, გენაცვალე, დახუჭული გქონდეს!—აფრთხილებდა ბებია.

— კიდევ, კიდევ დამასხით წყალი!— მედიკოს ისე გაუტკბა ბანაობა, რომ ახლა უკვე თვითონ ეხვეწებოდა დედასა და ბებიას.

მედიკოს მოუხდა დაბანვა, ვარდისფერ სახეზე ლურჯი თვალები იებივით მოუჩანდა. როდესაც თეთრწინწკლებიანი ლურჯი ჩითის კაბა ჩააცვეს და თმებზე ბანტიც გაუკეთეს, დედამ თქვა:

— აი, რა კარგი გოგო ხარ, სუფთა და მშვენიერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲗᲣᲜᲐ

მ. ბოლქვაძე

სწავლის დრო რომ მოვიდა, დედამ დათუნა სკოლაში წასაყვანად მოამზადა: უეიდა ჩანთა, სამელნე, კალამი, წიგნები, ფერადი ფანქრებიც არ დავიწუებია.

დადგა პირველი სექტემბერი.

დათუნა სკოლის ფორმაში გამოეწყო, ფორმას ჯიბეებიც ეკერა; ამ ჯიბეებში ბებომ კანფეტები ჩაუყარა, თან გააფრთხილა: მხოლოდ დასვენებაზე შეექცეი, გაიგე? გაკვეთილზე არ გაბედო ჯამაო!

— კარგი!—დაეთანხმა დათუნაც, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა: ჩვენს დათუნას სწორედ გაკვეთილზე მოენატრა ფოჩიანი კანფეტი. გადწუვიტა, მარტო დავხედავო, და ჯიბიდან ამოაძვრინა. მერე კი სულმა წასძლია:

ჩუმად გაგვენტავო, — კბილებიც მოუჭირა, მაგრამ კანფეტს სულაც არ ედარდებოდა დათოსი, ისე ხმამაღლა დაიძახა „ვნიტ“, რომ ეველა მისკენ მიახედა: მასწავლებელიც და მოსწავლეებიც.

მოსწავლეებმა გაიცინეს. მასწავლებელმა კი შენიშნა:

— გაკვეთილზე ჯამა არ შეიძლება! ეს ხომ ხელს შეგვიშლის სწავლაში?!

შერცხვენილმა დათუნამ გაკვნეტილი კანფეტი მერხში შეაგდო. იქ მას ახალთახალი „დედა ენა“ დახვდა და ტკბილი გვერდებით ზედ მიეწება.

— კანფეტები წიგნის დასასვრელად კი არ მოგეცი!—გაჯავრდა ბებო, როცა დასვრილი „დედა ენა“ ნახა.

ᲓᲦᲔᲡ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲚᲘᲜᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲘᲪᲐᲠᲘᲚᲘ ᲓᲠᲝ.

ᲓᲦᲔᲡ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲚᲘᲜᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲘᲪᲐᲠᲘᲚᲘ ᲓᲠᲝ.

ᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲢᲘᲡᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚ ᲩᲐᲚᲦᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲮᲛᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲨᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოცანები

ბ. ნარეთელი

ჭა ხანაზდე არ ამოუღია,
ფიცარს ბანაგ შეტრიალა,
ბანზე ხელებგაშვერილმა
დაგრეხილმა კუდიანმა!

ვ. ჟიჟინაძე

პირზე ხორთუმი,
კუდზე მარაო.
გაფხორილი გარ
წარმამარაო.

ბ. ბაბალიძე

ტყეშია მისი ხადგომი,
ლაშე არ უყვარს ძილია,
თუ თავი დიდად არ ფუსფუსებს,
კუდი ხაკმაოდ ქნერია.

შინაურები თუ უყვარს,
გარეშეს დიდ მტერია,
მისი წყალობით ნადირიც
მრავალი დაუჭერია.

გადს-გამოდის ხანნისი,
გაკვრიალდა ფოცარი,
გულში ამოხდის ქარიანი,
რა ანის, გამოცანი!

ულ. ალბერტელი

ზოგი რკინის, ზოგი ხისა,
ქვეითი წყალი, ფეევი—ისა.

კაცის მოკეთე მწერია,
იგი თავისი მტერია.

ნახატები ი. ანდღიშვილისა

ოდესაც დამწერლობა შემოიღეს, მორბენალს ავალებდნენ პაპირუსზე, ტყავზე, თიხის ფილებზე დაწერილი წერილები წაეღო. გაირბენდა იგი კარგა დიდ მანძილს, მერე მეორე მორბენალი დახვდებოდა გზაზე, მეორეს მესამე სცვლიდა და მესამეს—მეოთხე. ხან კი მორბენალს თან არაფერი მიჰქონდა, თვითონ იყო ცოცხალი წერილი:

გასაგზავნ მონას ბატონი თავს გადაპარხავდა და ზედ მელნით დაუწერდა საიდუმლო ცნობას. როცა მონას თმა ამოუვიდოდა, გზას გაუყენებდნენ, დანიშნულ ადგილას ისევ გადაპარხავდნენ თავს და დაწერილს ამოიკითხავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტილოს ფეხსაცმელები

ს. ღარიბაშვილი

ნახატი ზ. ქაპანაძისა

პატარა ფარვატი თვალს ვერ აშორებდა ზღვის პირად სვენ ქვიშაზე დაყრილ ტილოს ფეხსაცმელებს.

ზღვა აღერსიანად დგაფუნობდა, შორიახლოს უდარდელად თამაშობდნენ მდიდრის შვილები; იცინოდნენ, მხიარული ყრიამუღით დასდევდნენ ერთიმეორეს, ფერად ბუშტებს უშვებდნენ.

ფარვატი კი მხოლოდ ამ ფეხსაცმელებს დასცქეროდა და აღარაფერი ახსოვდა ქვეყანაზე... ვგონებ, კარგად უნდა მოერგოს ფეხზე! მერე და როგორ გამოადგებოდა სკოლაში! მაშინ აღარ ჩამორჩებოდა თავის ტოლ-მეგობრებს, ცეკვა-თამაშშიც ჩაერეოდა, სკოლის სცენაზეც ითამაშებდა...

ერთიმეორეს დადევნებული ტალღები მსუბუქ შხეფებად ასკდებოდა ნაპირს. ტალღების ხმაურზე გოგონას მამა გაახსენდა. მამამისი მებადური იყო და წინათ აუარებელი თევზი მოჰქონდა შინ. რა ბედნიერი იყო მაშინ ფარვატი! მამა სუფრაზე გვერდით მოისვამდა ხოლმე გოგონას და ცხელ ღვაშს მოუტეხავდა.

მაგრამ ამ ზამთარს მამა ვეღარ დაბრუნდა სახლში. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, მეთევზეების ნავები დაღეწა და ბევრი მეთევზე დაიხრჩო. ფარვატის მამაც დაიღუპა. კიდევ კარგი, რომ კეთილი ადამიანები გამოეჩინენ და სწავლას არ დაანება თავი. ახლა ედა მუშაობს მეთევზეთა არტელში და ღუკმა-პური არ ენატრებათ. ოღონდ გოგონამ ახალი ფეხსაცმელების ყიდვა როგორ სთხოვოს ედას, რომელიც წელს იწყვეტს მუშაობით?

საქართველოში მაღალ მთებზე ბევრი ციხე-კოშკია აშენებული: ეს ციხე-კოშკები ერთმანეთს ცეცხლით „ელაპარაკებოდნენ“. აი, მაგალითად, საზღვარი მტერმა გადმოლახა. საზღვარზე აგებულ ციხის თავზე ცეცხლს დაანთებდნენ. როგორც კი ამ ცეცხლს მეორე ციხე-კოშკიდან დაინახავდნენ, ახლა ახინაც გააჩაღებდნენ ცეცხლს. ასე გადადიოდა ცეცხლი ციხიდან ციხეზე. ხალხი სწრაფად იგებდა მტრის შემოსევას და ემზადებოდა დასახვედრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—როგორ გაბედე, რატომ ახლე ხელი სხვის ნივთებს?

— ვიღაცას დაუყრია, დედა, ძველებია და არავის სჭირდება.

— ეგ ფეხსაცმელები ხომ სხვისია, ვისმე დარჩებოდა. ახლა ვინ იცის, როგორ დაეძებს!

— დედიკო, მე რომ ფეხსაცმელები არა მაქვს? ფეხშიშველი ხომ ვერ გავალ სკოლის სცენაზე.

— ახლავე გაიხადე და სადაც იყო, იქვე დააწყვე! გესმის?!

ფარვატმა თავი ჩაქინდრა და მთელი სახე აელეწა. ზღვისაკენ მიმავალს ფეხები უკან რჩებოდა. ასე ეგონა, ეს სველი ქვიშაც, ეს ბადრი მთვარეც ნიშნს უგებდნენ. გოგონამ მიირბინა პლაჟზე და ფეხსაცმელები იქვე დაყარა, სადაც დიღას იპოვა. ზღვის ტალღა მძიმედ მიგორავდა ნაპირის გასწვრივ, ზღვის მოქცევა დაიწყო. მთვარე კი თითქოს თვალხუჭობანას თამაშობდა, ხან ღრუბელს მოეფარებოდა, ხან ისევ გამოაჭყეტდა თვალს.

უცებ უზარმაზარი ტალღა მოასკდა ნაპირს და იქვე ჩაცუცქული ფარვატი მოულოდნელობისაგან შეკრთა. როცა ხელახლა გადააგლო თვალი სველ ქვიშას, ფეხსაცმელები აღარსად იყო. ტალღამ ისინი მსუბუქად გაიტაცა და სამუდამოდ წაიღო. ირგვლივ მხოლოდ თვალუწვდენი ქვიშა და ზღვა დარჩა...

ატირებული ფარვატი გაიქცა შინისაკენ. დედა გარეთ იდგა და უცდიდა. გოგონა გულამომჯდარი მიეკრა დედას და გამხდარი მხრები ტირილით აუთრთოლდა.

—რა გაგვაჩინა, რა გავიტანო სახლიდან? რა მივყიდო მეძველმანეს, რომ ფარვატი ფეხსაცმელებით გავახარო?—ფიქრობდა ფარვატის დედა და შვილს გულში იხუტებდა.

თარგმანი **ნ. თოფჩიშვილისა**

როცა ადამიანმა ცხენი მოიშინაურა, მორბენალი შეკრიკები ცხენებზე შესვეს. ისინი საგანგებო ხადგურებზე ცხენს იცვლიდნენ და გზას განაგრძობდნენ. უფრო გვიან ფოსტას ეტლით გზავნიდნენ.

სასწრაფო წერილების გადასაცემად მტრედი და ძაღლიც გამოიყენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური ფისო

პატარა გოგონა რაღაცას ხატავდა. ფისო სკამზე შესკუპებულიყო და გულდასმით შესცქეროდა.

— რას აკეთებ?— ჰკითხა ფისომ.

— სახლს გიხატავ, ჩემო ფისო.

— მერე თუ სახლია, რატომ ფანჯარა არა აქვს? ხომ იცი, ფისუნებს ფანჯრებიდან გადაძრომა გვიყვარს.

— ახლავე გავუკეთებ,—უპასუხა გოგონამ და დახატა ფანჯარა.

— სახლს ბაღიც უნდა ჰქონდეს, რომ გავისეირნო,—უთხრა ფისომ.

გოგონამ დახატა ბაღი, მერე—ვაშლის ხე, ბუჩქები და ოქროსთევზებიანი აუზი.

ოქროს თევზების დანახვაზე ფისო სიხარულით აკრუტუნდა.

შემდეგ გოგონამ ბაღს ღობე შემოავლო, წიწილები და ბატები არ დაიკარგონო. ფისოს ესეც ძალიან მოეწონა.

— თაგვები არ იქნება?—იკითხა ფისომ.

— ოჰ, არა, არა.

— კი მაგრამ ვინ უდარაჯებს ჩემს სახლს?

— დარაჯსაც მოგიყვან, მას როუვა ერქმევა,—მიუგო გოგონამ.

ცუგრია როუვას ხსენებაზე ფისომ კუდი აიბზიკა.

— არ მომწონს შენი სახლი, მე არ ვიცხოვრებ შიგ!—თქვა და წავიდა.

ჩვენი აზრით კი ეს ძალიან კარგი სახლია. შეგიძლიათ თქვენც დახატოთ?

ინგლისურიდან თარგმნა **გ. დოლიძემ**



ზღვაზე გემებიდან ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ზარის რეკვით, ფარნებით, ჩირაღდნებით და ფერადი ალმებით. თითოეული ალამი თითო ასოს და ზოგჯერ სიტყვასაც ნიშნავდა.

შემდეგ გამოიგონეს სემაფორული ანბანი: ორი პატარა ალმის საშუალებით ერთმანეთს ამბებს გადასცემდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბა



ნ. ალნიაშვილი

ძია კოტემ ალიკოსა და გიას პატარა ბაჭია აჩუქა და თან უთხრა: თქვენ იცით, როგორ მოუვლითო. ბიჭებმა საიდანღაც გალია გამოუნახეს ბაჭიას და ჩიტის რძესაც არ აკლებდნენ. ალიკო რომ სტაფილოსა და კომბოსტოს დაუყრიდა, გია წყალს მოურბენინებდა. ავისუფლად ვერ უშვებდნენ გარეთ, რადგან ძია კოტემ გაფრთხილა: კურდღელი ჯერ უნდა შეიჩვიოთო.

ბაჭიას უცებ დეტყო ალიკოსა და გიას ხელი: გასუქდა, გლამაზდა, ხშირად იბანდა თათებით პირისახეს. გალიასთან მოსულ ბიჭებს რომ დაინახავდა, თათებზე დასკუპდებოდა და სულ ხელებში შეხტკეროდათ: აბა, რა მომიტანეთო. თანდათან მიეჩვია თავის პატარა მეგობრებს და იმათაც იფიქრეს: უკვე შეიძლება ეზოში ცოტა ხნით გავუშვათო.

— მე გამოვიყვან გალიიდან,—თქვა ალიკომ.

— რატომ შენ, მე გამოვიყვან! შენი ხაკუთარი ბაჭია ხომ არ არის,—უპასუხა გიამ.

— გახსოვს, გუშინწინ რომ დაგეზარა გალიის გაწმენდა და შენს მაგივრად მე გავწმინდე? მაშინ ხომ კარგი იყო!..—ნიშნისმოგებით წახძახა ალიკომ.

— სამაგიეროდ ბევრი კომბოსტო ხომ მივუტანე!.. ბაჭიას მე უფრო ვუყვარვარ, რომ დამინახავს, მცნობს კიდეც.

— როგორ არა, შენ უყვარხარ!.. მე რომ დამინახავს, სულ კუნტრუშობს,—გაბრაზდა ალიკო.

— მოდი და ბაჭია ჩვენს წინ დავსვათ, ვისთანაც პირველად მივა, ის უფრო ჰყვარებია, გინდა?—უთხრა გიამ.

ბიჭებმა ბაჭია გალიიდან გამოიყვანეს, მოშორებით დასვეს და თან ათას ხალერსო ხახელს ეძახდნენ. ბაჭია უკანა თათებზე დასკუპდა, ყურები აიცანცარა, ტუჩები აწკლაპუნა, სახაცილოდ დაჰყიტა წითური თვალები, ერთი იხკუპა, ღობეს გადაევლო და ტყიხაკენ მოუსვა.

დარჩნენ ბიჭები პირში ჩალაგამოგლეჯულები.

ახია ალიკოზე და გიაზე. აბა, ვის შეუყვარდებოდა მაჩხუბარა ბიჭები?



ბახშირდა წერილების მიტან-მოტანა. ფოსტა თანდათან აახლოვებდა ხალხს ერთმანეთთან. გაჩნდნენ წერილების დამტარებლები—ფოსტალიონები. მაშინდელ ქალაქებში ქუჩები მოკირწყლული არ იყო, წვიმისაგან ატალახებულ გზებზე გავლა შეუძლებელი ხდებოდა. ფოსტალიონი ოჩაფეხებზე შემდგარი არიგებდა წერილებს. მერე ველოსიპედიც გამოიყენეს, უფრო გვიან ადამიანებმა გამოიგონეს ავტომობილი, ხოლო შემდეგ რკინიგზა და მატარებელი. წერილები ახლა უფრო სწრაფად მიდი-მოდიოდა.

ღობემძვრალა

გ. ნოზაძე

ზღაპარი

ნახატი ე. ამბროკაძისა

დიდი ხნის წინათ ერთ ველზე შეიკრიბნენ მთისა და ბარის ფრინველები: არწივი და მიმინო, გვრიტი და მტრედი, გნოლი და კაკაბი, ბულბული, თოხიტარა, ჭინჭრაქა და სხვა მრავალი.

ბევრი იჩხავლეს ფრინველებმა და ბოლოს დაადგინეს, რომ ცხოველებივით მათაც აერჩიათ მეფე.

მეფობა ყველას უნდოდა, მაგრამ თავისი თავის დასახელება სირცხვილად მიაჩნდათ. ბოლოს ჭინჭრაქამ თქვა:

— ხედავთ, აგერ რა კარგი ბატკანი დადის და დაბლავის?! ეგ უთუოდ მეცხვარეს დაეკარგებოდა. ჰოდა, ვინც შესძლებს, ბატკანი ფარაში მიიყვანოს, მეფედაც ის იყოს!

ჭინჭრაქას აზრი მოეწონათ. რიგ-რიგობით სცდიდნენ ბატკნის აყვანას, მაგრამ ადგილიდან ვერ ძრავდნენ. ჭინჭრაქა მიხვდა, მეფო-



გავიდა კიდევ კარგა ხანი. ადამიანებმა შექმნეს ელექტრო-ტელეგრაფი და მერე კი — ტელეფონი. ეს ტელეგრაფი მარტივად იყო გაკეთებული. დაჰერდით ხელს ღილაკს, ჩაერთვებოდა აპარატი და გაირბენდა დენი ხაზზე. ახლა მეორე ქალაქში ახმაურდებოდა აპარატი და ქაღალდის ლენტზე დაიწერებოდა სტატუები.

უმავთულო ტელეგრაფი—რადიო გამოიგონა რუსმა მეცნიერმა ალექსანდრე პოპოვმა.

ახლა ტელეგრაფი და ტელეფონი ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და რაიონშია მოწყობილი. ტელეფონით ლაპარაკი შეიძლება ძალიან შორეულ ქვეყნებშიც.

ბა არწივს არ ასცდებოდა, და შეუმჩნეველადშეუძვრა ბუმბულში. არწივმა მართლაც ჰაერში აიტაცა ბატკანი და მიიყვანა ფარაში. ჭინჭრაქა კი გამოუძვრა მას ბუმბულიდან, მეცხვარესთან მიფრინდა და ჰკითხა:

— ბატკანი ხომ არ დაგიკარგავს?

— დამეკარგა.

— აგერ, მოგიყვანე და ჩაიბარე!

ამასობაში ფრინველებიც მოგროვდნენ. ჭინჭრაქა შეეგება მათ და დაიკვეხა:

— ბატკანი მივიყვანე და მეცხვარეს ჩავაბარე.

— არა, მე მივიყვანე!—იძახდა არწივი.

მაგრამ ჭინჭრაქამ მეცხვარე დაიმოწმა და არწივს რაღა ეთქმოდა? ფრინველები საგონებელში ჩავარდნენ: ეს ერთი ციცქნა ჭინჭრაქა მეფედ როგორ დავისვათო! ბოლოს კაჭკაჭმა ურჩიათ:

— პირობის თანახმად ხომ ჭინჭრაქა უნდა ავირჩიოთ მეფედ?! მოდით, ერთიც დავავალოთ: ჭინჭრაქა წავიდეს და ღობეებში ისეთი ჩხირი მოძებნოს, რომელიც არც სწორი იქნება და არც მრუდე, არც მსხვილი და არც წვრილი, არც მოკლე და არც გრძელი. მანამდე კი ჩვენი მეფე არწივი იყოს, რადგან ის ყველაზე ღონიერია.

ფრინველებმა კაჭკაჭს მხარი დაუჭირეს და ბუდეებისაკენ გაფრინდნენ.

ჭინჭრაქა კი მას შემდეგ დაძვრება ღობეებში და ისეთ ჩხირს დაეძებს, რომელიც არც სწორი იქნება და არც მრუდე, არც მსხვილი და არც წვრილი, არც მოკლე და არც გრძელი, მაგრამ ვერა და ვერ უპოვია. ამიტომ ფრინველების მეფედ დღესაც არწივია. ჭინჭრაქას კი ხალხმა მეტსახელად ღობემძვრალა შეარქვა.

დღეს დედამიწაზე კი არა, უკვე კოსმოსთან ვამყარებთ კავშირს.

ხაბეჭდთა თანამგზავრებზე და ხაჰაერო ხომალდებზე დადგმული ხელსაწყოები გადმოგვცემს ცნობებს ვარსკვლავეთიდან.

მერე კი ინჟინრებმა ტელევიზორები დაამზადეს. მალე ტელეფონს „თვალებს“ გაუკეთებენ და თქვენს მოსაუბრეს დაინახავთ კიდეც.

არა მარტო ლაპარაკი შეგიძლიათ შორეულ ქვეყნებთან, ჩადებთ აპარატში სურათს და რამდენიმე წუთში დედამიწის ზურგზე, სადაც მოისურვებთ, მიიღებენ მის ზუსტ ანაბეჭდს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პინოქიოს თავგადასავალი

3 ქოლოდი

ნახატები დ. ხახუბაშვილისა

პინოქიოს შესვლამ თეატრში დიდი აღტაცება გამოიწვია.

— ჩვენი პინოქიო!—დაიძახეს ერთხმად თოჯინებმა,—მოდი ჩვენთან, პინოქიო!

პინოქიომ ისკუპა, ერთი ფეხი დირიჟორს დაჰკრა თავზე და სცენაზე გაჩნდა. ამ დროს თოჯინების თეატრის პატრონი მანჯაფოკო გამოჩნდა. შავი, დაუვარცხნელი წვერი კოჭებამდე დასთრევდა, ნახშირივით შავი თვალები გადმოეკარკლა და ხელში სქელი მათრახი ეჭირა.

— რა არეულობა შემოიტანე ჩემს თეატრში!—დაუღრიალა მანჯაფოკომ პინოქიოს და განზე გაიხმო.—მამაშენს რა ჰქვია?

— ჯეპეტო,—მიუგო პინოქიომ.

— რა ხელობის კაცია?

— ერთი ღარიბ-ღატაკია. საწყალმა უკანასკნელი ქურთუკი გაიხადა და ანბანი მიყიდა.

— აბა, ხუთი ოქრო,—უთხრა მანჯაფოკომ და ბრჭყვიალა ოქროს ფულები გაუწოდა,—გაიქეცი და მამას მიურბენინე.

პინოქიომ ათათხი მადლობა გადაუხადა და შინისაკენ მოჰკურცხლა. ცოტა რომ გაიარა, გზად კოჭლი მელა და ბრმა კატა შემოეყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა, პინოქიო,—მიესალმა მელა და თავი დაუკრა.

— ჩემი სახელი საიდან იცი?—გაუკვირდა ბიჭს.

— მამაშენს კარგად ვიცნობ. საწყალი გუშინაც ვნახე, სახლის წინ იდგა და სიცივისაგან კანკალებდა.

— საცოდავი მამაჩემი!—თქვა პინოქიომ, — მადლობა ღმერთს, ამიერიდან აღარ იკანკალებს. მე ძველი პინოქიო როდი ვარ, მდიდარი კაცი გავხდი.

— შენა? — მელამ და კატამ სიცილი დააყარეს.

პინოქიომ ხუთი ოქრო დაანახვა.

— მაგ ფულით რას აპირებ? — შეეკითხა ცბიერი მელა.

— პირველ რიგში მამილოს ლამაზ ქურთუკს ვუყიდი, მერე კი ჩემთვის ანბანს შევიძენ.

— ანბანი რაღად გინდა ნეტავ?

— როგორ თუ რად მინდა? სკოლაში უნდა ვიარო და კარგად ვისწავლო.

— შემომხედე ერთი,—დაიწუწუნა მელამ,—სწავლამ არ ჩამაგდო ამ დღეში?!—და თავისი მოტეხილი ფეხი უჩვენა.

— ახლა მე შემომხედე,—უთხრა კატამ,—სულელურმა სწავლამ დამთხარა ორივე თვალი.

— ყური არ ათხოვო მაგათ, პინოქიო,—ჩამოსძახა ხიდან ბაშვმა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, უცებ მელა შეჩერდა და ხის კაცუნას ასე მიმართა:

— არ გინდა, ორი მაგდენი ოქრო რომ გქონდეს?!

— რატომაც არა, მაგრამ როგორ?

— სულ უბრალოდ. ჩვენ ბრიყვთა ქვეყანაში მივდივართ, თუ გინდა, შენც ჩვენთან იარე.

— არა,—თქვა პინოქიომ,—ალბათ საწყალ მამაჩემს თვალები გზისაკენ მოექცა. ვინ იცის, როგორ მელოდება!

— კარგად მოიფიქრე, პინოქიო,—გაუმეორა კატამ, —თუ გინდა, რომ შენი ხუთი ოქრო ახად და ათასად გადაიქცეს, ჩვენთან წამოდი. გაგიგია ბრიყვთა ქვეყანა? იქ ერთი ჯადოქრული მინდორია. პატარა ორმოს ამოთხრი და შიგ ერთ ოქროს ჩააგდებ. მერე მიწას მიაყრი, ორ სათლ ჭის წყალს დაასხამ და ორ ფიორ მარილსაც წააყრი. დაწვები და მშვიდად დაიძინებ. მეორე დღეს მიხვალ და რას ნახავ! იმ ადგილას ხე ამოსულა და ზედ ოქროს ფულები დაუხვამს!

— უი, რა კარგია!—წამოიყვირა პინოქიომ და ხარბად დაეთანხმა,—ნახევარს ჩემთვის დავიტოვებ, ნახევარს თქვენ მოგცემთ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ დუქანს მიაღწიეს და მედუქნეს ღამის გასათევი მოსთხოვეს.

— ახლა ორი ოთახი გვიშოვე,—უთხრა მელამ,—ერთი პინოქიოსათვის, ერთი—ჩვენთვის. იცოდე, შუაღამისას უნდა გაგვაღვიძო. დიდი გზა გვიდევს წინ.

პინოქიო ტკბილ ხიზმრებში იყო, რომ მედუქნემ კარზე მიუკაკუნა.

— ჩემი მეგობრები მზად არიან?—იკითხა ხის კაცუნამ.

— რაღა დროისაა, ორი საათის წინ წავიდნენ.

— ვახშმის ფული თუ გადაიხადეს?

— რას ბრძანებთ! ასეთ შეურაცხყოფას როგორ მოგაყენებდნენ.

— აფსუს! სულაც არ მეწყინებოდა!

პინოქიომ დანახარჯი გადაიხადა და გზას გაუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გა. უცებ რაღაც შრიალი მოესმა. პინოქიომ ტომრებში გახვეული ორი ლანდი შენიშნა. ფული ენის ქვეშ დამალა და გაქცევა დააპირა.

— ან ფული, ან სული! — უთხრეს ყაჩაღებმა ხის კაცუნას.

პინოქიომ ხელები გაასავსავა, არაფერი არა მაქვსო. მაგრამ შიშისაგან ფულები პირში აუწკრიალდა.

— ერთი ამას უყურე, ფული პირში არ დაუმალავს! — შეხძახეს ერთხმად და ეცნენ პინოქიოს, — გადმოყარე ახლავე!

მელამ ცხვირში სტაცა ხელი, კატამ — ნიკაპში. მაგრამ ვერა და ვერ გააღებინეს პირი. პინოქიომ, როგორც იქნა, ხელიდან დაუძვრა მათ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა. მირბის პინოქიო, მისდევენ დანამმარჯვებული ყაჩაღები. ბოლოს ხის კაცუნა ერთ ცაცხვის ხეზე აცოცდა და კენწეროზე მოექცა. ყაჩაღებმა ქვევიდან ცეცხლი შეუნთეს. პინოქიომ იფიქრა, ცუდად არის ჩემი საქმეო. ხის კენწეროდან გადახტა და გაიქცა. წინ რაღაც ჭუჭყიანი გუბე დახვდა. ერთი, ორი და სამი! — ისკუპა პინოქიომ და მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ნაპირზე მოადინა ბრაგვანი. ისკუპეს ყაჩაღებმა და შიგ წყალში მოადინეს ტყაპანი.

— გაამოთ ბანაობა, სინიორებო!—მეორე ნაპირიდან გასძახა პინოქიომ.

ხის კაცუნას ეგონა, ყაჩაღები დაიხრჩობიანო, მაგრამ მიიხედა და რას ხედავს! საცალია დაეწევიან. ამ დროს შორით ერთი პატარა ხანლი შენიშნა. პინოქიომ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ხანლთან მიირბინა და დაეკაკუნა. ფანჯარაში ლაჟვარდისფერთმიანმა გოგონამ გადმოიხედა.

— ლამაზო გოგო,—შეეხვეწა პინოქიო,—კარი გამიღე, შემიბრალე უბედური! ყაჩა...

სიტყვა ალარ აცალეს, ყაჩაღებმა ხელი დასტაცეს პინოქიოს და წაათრიეს. ხის კაცუნა ისე კანკალებდა, რომ ფულებს პირში სულ წკრიალ-წკრიალი გაჰქონდა. გოგონა კი ალარსად ჩანდა.

—ახლაც არ გაალებ პირს!—დანით აშინებდნენ ყაჩაღები.

— იცი, რა ვუყოთ,—მოიფიქრა ერთმა,—ხეზე ჩამოვკიდოთ.

ხის კაცუნას ხელ-ფეხი გაუკრეს და მუხის ხეზე ჩამოჰკიდეს. თვითონ იქვე დასხდნენ და დაელოდნენ, როდის დაალებდა პირს. გადიოდა დრო, ბიჭს პირი ისევ მაგრად მოეკუმა. ყაჩაღებს ლოდინი მობეზრდათ და წავიდნენ იმ იმედით, რომ მეორე დღეს პინოქიო უკვე პირდალებული დახვდებოდათ.

ხის კაცუნა სიკვდილის პირას მიდგა, მაგრამ არამც და არამც პირს არ ალებდა. ამ დროს ფანჯარაში კვლავ გამოჩნდა ლაჟვარდისფერთმიანი გოგონა. პინოქიო ამ დღეში რომ დაინახა, უბრძანა ბუს, კოდალას, ძაღლსა და ჭრიჭინას, საწყალი ბიჭი ხიდან ჩამოეხსნათ და მისთვის მიეგვარათ.

— დიდი ხანია ვოცნებობდი, დედა მყოლოდა, როგორც სხვა ბავშვებს ჰყავთ,—შესჩივლა პინოქიომ კეთილ ფერიას,—მე თქვენ დედას დაგიძახებთ. ოღონდ მასწავლეთ, როგორ უნდა მოვიქცე, რომ დიდი გავხდე?

— ხის კაცუნები არ იზრდებიან,—აუხსნა გოგონამ.

— ოჰ, როგორ მომბეზრდა ხის კაცუნად ყოფნა!—შესჩივლა პინოქიომ კეთილ ფერიას,—კაცად ალარ უნდა ვიქცე?

— თუ კარგ ბიჭობას გამოიჩენ, სულ იოლი საქმეა,—დაამიდა ფერიამ.

— განა ცუდი ბიჭი ვარ?

— კარგი ბიჭი გამგონეა, კარგი ბიჭი მართალს ამბობს, სკოლაში სიარული ეხალისება, შენ კი—არა.

— დღეიდან სულ გამოვიცვლები. ვისწავლი, ვიმუშავებ, რასაც მეტყვით, ყველაფერს გაგიგონებთ, ოღონდ კაცად გადავიქცე!—შესძახა ალტაცებულმა პინოქიომ.

იტალიურიდან თარგმნა

ლ. ერაძემ

6.32/297

1. „მიფრინავენ ჩიტები“, ნახატი **მანანა მალაზონიასი**, 4 წლის. თბილისი.
2. „სახლი“. აპლიკაცია **ელიკო პატარუაშვილისა**, 7 წლის. ნიფხრეული.
3. „სკოლისაკენ“. ნახატი **მარინე ივანიშვილისა**, 5 წლის. ლაგოდეხი.
4. „ბეჭემოტის შვილი“, ნაძერწი **ვია ლაშხისა**, 4 წლის. თბილისი.
5. „მოტოროლერზე“ } ნაძერწი
6. „ცხენოსანი“ } ნაძერწი

თინა ჩირინაშვილისა, 9 წლის. თბილისი.





ყდის მხატვრობა ეკუთვნის შ. ცხადაძეს

რედაქტორი **იოსებ ნონეშვილი**. სარედაქციო კოლეგია: **ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი** (რედაქტორის მოადგილე), **ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე** (სამხატვრო რედაქტორი)

ბამოცემის ოცდამეთოთხეტე წელი **ფასი 20 კაპ.**

ტექ. რედაქტორი **ი. არდიშვილი**

რედაქციაში შემოსული მასალები აეტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა **„ნაკადული“**. რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭლიანოვის ბრასა. 91, ტელ. 37-38. გამომც. შეკვ. № 455, სტამბის შეკვ. № 2505 ტირაჟი 21500 **ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII 1961 წ.**

ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина

№ 9 сентябрь. 1961 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.